

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ნ ი ნ ო ჩ უ ბ ი ნ ი ძ ე

მართვის თანამედროვე ტექნოლოგიები უმაღლესი განათლების
სისტემაში

სადოქტორო პროგრამა – ბიზნესის ადმინისტრირება

შიფრი – 02

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი

2020 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ევგენი ბარათაშვილი, პროფესორი

რეცენზენტები: _____

დაცვა შედგება 2020 წლის ” _____ ” „_____“ _____ საათზე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების, საჯარო
მმართველობისა და მენეჯმენტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს
სხდომაზე. კორპუსი VI, აუდიტორია -----,
მისამართი: თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში
ხოლო ავტორეფერატისა – ფაკულტეტის ვებგვერდზე

სადისერტაციო საბჭოს მდივანი
პროფესორი ლელა კოჭლამაზაშვილი

Summary

Nino Chubinidze's dissertation Thesis, "Modern Management Technologies in Higher Education," consists of an introduction and three chapters.

The introduction states that the second half of the last century will go down in the history of higher education as one of the fastest-growing periods: from 1960 to 2015, the number of students in each country in the world increased from 13 million to 82 million, six times or more. Over the same period, the gap between industrialized and developing countries has widened significantly, especially the huge gap between less developed countries in terms of access to higher education, research, and resources. This period was characterized by even greater socio-economic stratification of society and growing differences in educational opportunities in the countries themselves, including some of the most developed and wealthy countries. Without an adequate higher education and research institutions that create a critical mass of qualified and educated people in society, no country can ensure real sustainable development on an endogenous basis, while developing and poor countries, among other things, cannot reduce their own lag behind the industrially developed countries. Knowledge sharing, international cooperation, and new technologies can create new opportunities to bridge this gap.

The concept of higher education implies that all types of courses or retraining for postgraduate research can be conducted by universities or other educational institutions recognized as higher education institutions by the competent state authorities.

The 21st Century World Declaration on Higher Education states that "it is extremely important to preserve and strengthen the basic goals and values of higher education, especially as regards the sustainable development of the whole society and the contribution of education to its improvement. It is about providing highly qualified graduates and responsible citizens who can meet the needs of people in all areas of activity. The goal can be achieved by providing appropriate qualifications and quality training, which combines high-level knowledge and skills.

All this is based on the use of training courses and educational programs that are constantly being improved and adapted to the future needs of the community; higher education and lifelong learning opportunities should be provided by offering students the choice of the optimal range. At the same time, the flexibility to start and end higher education within the framework of this system should be ensured. It should be noted that it is necessary to ensure individual development and social mobility, to cultivate a civic spirit and actively participate in public life; and a commitment to worldview and the creation of endogenous capacity to protect human rights, sustainable development, democracy, peace, and justice.

Promotion, creation, and dissemination of knowledge through research as one of the services provided to the population, provides society with the necessary knowledge in the fields of cultural, socio-economic development and stimulates the conduct of natural-scientific and technological research in order to provide assistance; She also conducts research in the fields of social sciences and creativity.

These activities should help identify, interpret, preserve, expand, develop and disseminate national, regional, international and historical cultures in the context of cultural pluralism and diversity; this should contribute to the preservation and strengthening of social values and the development of education among young people since education is the basis of democratic citizenship. Educated young people contribute to critical and impartial analysis in discussing strategic directions and expanding the prospects for humanism; also the development and improvement of education at all levels.

In the process of transformation, the need for a new vision and paradigms of higher education in the world is changing rapidly. Of course, innovations should be student-oriented, which in most countries will require reforms and an open policy for such education. A new vision or a new paradigm based on relationships and partnerships provides ample opportunity to use methods, practices, and tools in different sectors of society.

In the first chapter of the dissertation, “The theoretical justification of the objective need for innovative approaches to higher education management”, the author considers the process of development and development of management theory and practice in the higher education system and its stages; innovative approaches to management in the system of higher education, in particular: analysis of scientific literature in this field and generalization of known results of practice; also analyzes the domestic and foreign experience of the higher education system.

In the second chapter of the dissertation, “Organizational and methodological foundations of innovative management of higher educational institutions”, the author considers the organizational structure of the innovation management system in higher educational institutions; innovative management methods in higher education institutions; socio-economic environment and its impact on the innovative process of managing higher education institutions.

In the third chapter of the dissertation, “Criteria for assessing the effectiveness of higher education institutions as an indicator of successful management”, the author describes the state mechanism for monitoring and evaluating the activities of higher education institutions; establishes criteria for evaluating the innovative activities of higher education institutions; summarizes the results of the assessment of quality management systems in national higher education schools using international methods for assessing the quality of higher education.

In conclusion, generalized results, conclusions, methodological and applied recommendations are given.

სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. გასული საუკუნის მეორე ნახევარი უმაღლესი განათლების ისტორიაში შევა, როგორც მისი ყველაზე სწრაფი განვითარების პერიოდი: 1960 წლიდან 2015 წლამდე მსოფლიოს ყველა ქვეყანაში სტუდენტთა რიცხვი 13 მილიონიდან 82 მილიონამდე, ანუ ექვსჯერ და მეტად გაიზარდა. ამავე პერიოდის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ინდუსტრიულ და განვითარებად ქვეყნებს შორის არსებული განსხვავებანი, განსაკუთრებით კი ნაკლებად განვითარებული ქვეყნებთან მიმართებაში არსებული უზარმაზარი უფსკრული, რომელიც მოიცავს უმაღლეს განათლებას, სამეცნიერო კვლევებს და ამისთვის გამოყოფილი რესურსების ხელმისაწვდომობას. ბოლო ათწლეულებისათვის პერიოდისთვის დამახასიათებელი იყო საზოგადოების კიდევ უფრო დიდი დაყოფა სოციალურ-ეკონომ-

მიკურ შრეებად და მზარდი განსხვავებები საგანმანათლებლო შესაძლებლობების თვალსაზრისით თავად ქვეყნების შიგნით, მათ შორის ზოგიერთ ყველაზე განვითარებულ და მდიდარ ქვეყნებშიც კი. ადეკვატური უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების გარეშე, რომლებიც ქმნიან კვალიფიციური და განათლებული ადამიანების კრიტიკულ მასას, ვერცერთი ქვეყანა ვერ შეძლებს ენდოგენურ საფუძველზე დაყრდნობით უზრუნველყოს რეალური მდგრადი განვითარება, ხოლო განვითარებად და ღარიბ ქვეყნებს, სხვა საკითხებთან ერთად, არ შეუძლიათ შეამცირონ უფსკრული მათსა და ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებს შორის. ცოდნის ერთობლივმა გამოყენებამ, საერთაშორისო თანამშრომლობამ და ახალმა ტექნოლოგიებმა შეიძლება შექმნას ახალი შესაძლებლობები ამ უფსკრულის შესამცირებლად.

უმაღლესი განათლების ცნებაში იგულისხმება, რომ ყველა სახის სასწავლო კურსი ანდა საშუალო განათლების შემდგომი სამეცნიერო კვლევებისთვის გადამზადება, შეუძლიათ განახორციელონ უნივერსიტეტებმა ან სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, რომლებიც კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მიერ აღიარებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებად.

XXI საუკუნის უმაღლესი განათლების მსოფლიო დეკლარაციაში ნათქვამია, რომ „აუცილებელია უმაღლესი განათლების ძირითადი ამოცანებისა და ფასეულობების შენარჩუნება, განმტკიცება და გაფართოება, კერძოდ იმ ნაწილში, რომელიც ეხება მთელი საზოგადოების მდგრად განვითარებას და მის სრულყოფაში წვლილის შეტანას. ესაა მაღალკვალიფიციური კურსდამთვრებულების და პასუხისმგებლიანი მოქალაქეების მომზადების უზრუნველყოფა, რომლებსაც შეუძლიათ დააკმაყოფილონ საზოგადოების საჭიროებები საქმიანობის ყველა სფეროში. დასახული მიზნის მიღწევა შესაძლებელია შესაბამისი კვალიფიკაციის და მომზადების ხარისხის უზრუნველყოფით, სადაც შეხამებულია ცოდნა და მაღალი დონის უნარები.

ყოველივე ეს ემყარება სასწავლო კურსებისა და საგანმანათლებლო პროგრამების გამოყენებას, რომელთა სრულყოფა და საზოგადოების სამო-

მავლო მოთხოვნებთან ადაპტირება მუდმივად მიმდინარეობს; უნდა მოხდეს უმაღლესი განათლებისა და სწავლების შესაძლებლობის უზრუნველყოფა მთელი სიცოცხლის მანძილზე, რაც შესაძლებელი გახდება მოსწავლეთათვის ოპტიმალური დიაპაზონის არჩევის შეთავაზებით. ამ დროს უზრუნველყოფილი უნდა იყოს მოცემული სისტემის ფარგლებში უმაღლესი განათლების დაწყებისა და შეწყვეტის მოქნილი ხასიათი. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელია ინდივიდუალური განვითარების და სოციალური მობილობის უზრუნველყოფა, მოქალაქეობრივი სულისკვეთების აღზრდა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა; აგრეთვე გლობალური მსოფლმხედველობისადმი შესაბამისობით და ენდოგენური პოტენციალის შექმნის გზით ადამიანის უფლებების დაცვა, მდგრადი განვითარების, დემოკრატიის, მშვიდობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფა.

კვლევითი საქმიანობის საშუალებით ცოდნის პოპულარიზაცია, შექმნა და გავრცელება საზოგადოებისთვის მიწოდებული ერთერთი მომსახურების სახით, უზრუნველყოფს სოციუმს საჭირო ცოდნით კულტურული, სოციალური და ეკონომიკური განვითარების სფეროებში და დახმარების გაწევის მიზნით ასტიმულირებს ბუნებრივ-სამეცნიერო და ტექნოლოგიური კვლევების ჩატარებას; აგრეთვე ახორციელებს კვლევებს სოციალურ-ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროში და შემოქმედებით საქმიანობას ხელოვნების სფეროში.

აღნიშნული საქმიანობა უნდა დაეხმაროს ეროვნული, რეგიონული, საერთაშორისო და ისტორიული კულტურების შეცნობას, ინტერპრეტაციას, შენარჩუნებას, გაფართოებას, განვითარებასა და გავრცელებას კულტურული პლურალიზმისა და მრავალფეროვნების კონტექსტში; წვლილი უნდა შეიტანოს საზოგადოებრივი ფასეულობების დაცვაში და განმტკიცებაში, ახალგაზრდების შორის განათლების დანერგვაში, ვინაიდან დემოკრატიული მოქალაქეობის საფუძველს სწორედ განათლება წარმოადგენს. განათლებული ახალგაზრდები კრიტიკული და მიუკერძოებელი ანალიზით წვლილს შეიტანენ სტრატეგიული მიმართულებების განხილვაში და ჰუმანიზმის პერსპექტივის გაფართოებაში; ხელს შეუწყობენ განათლების განვითარებასა და გაუმჯობესებას ყველა დონეზე.

ტრანსფორმაციის პირობებში სწრაფად გარდაიქმნად მსოფლიოში უმაღლეს განათლებისადმი იგრძნობა ახალი ხედვისა და პარადიგმების ძიების საჭიროება. ცხადია, სიახლეები სტუდენტებზე უნდა იყოს ორიენტირებული, რაც უმეტეს ქვეყნებში მოითხოვს რეფორმებს და ამგვარი განათლების მისაღებად ღია პოლიტიკის დაშვებას. ახალი ხედვა, ანუ პარადიგმას ახალი ტიპი, რომელიც დაეფუძნება კავშირებსა და პარტნიორობას, ურთიერთობაში უზრუნველყოფს მეთოდების, პრაქტიკისა და ინსტრუმენტების გამოყენების ფართო შესაძლებლობებს საზოგადოების სხვადასხვა ფენას შორის.

კვლევის მიზნები და ამოცანები. კვლევის მიზანია იმის დასაბუთება, რომ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ სტუდენტების იმგვარი განათლება, რომელიც მათში აამაღლებს კარგად ინფორმირებულ და ღრმად მოტივირებულ მოქალაქეობას, რომელიც გაუღვივებს კრიტიკული აზროვნების უნარს, სოციალური პრობლემატიკის ანალიზს შესაძლებლობებს, საზოგადოების წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრის გზების მოძიების შესაძლებლობათა კომპლექსურ ხედვას.

ამ მიზნის მისაღწევად, დაგვჭირდა შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

- სასწავლო პროგრამების ხელახლა გადამუშავება შესაბამისი ახალი მეთოდების გამოყენებით, რათა სწავლება-სწავლის პროცესში არ შემოვიფარგლოთ მხოლოდ დისციპლინების კოგნიტიური ათვისებით;
- ახალი პედაგოგიური და დიდაქტიკური მიდგომების შემუშავება და მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და განვითარება, რათა ხელი შეეწყოს უნარ-ჩვევების ათვისებას, იმ კომპეტენტურობათა და უნართა განვითარებას, რომლებიც დაკავშირებულია კომუნიკაციასთან, შემოქმედებით და კრიტიკულ ანალიზთან, დამოუკიდებელ აზროვნებასთან და კოლექტიურ მუშაობასთან მულტიკულტურულ კონტექსტში;
- იმის დასაბუთება, რომ კრეატიულობა ემყარება ტრადიციული ადგილობრივი ცოდნისა და უნარების, გენდერული თანასწორობის ასპექტის, ჩვენი ქვეყნის სპეციფიკური კულტურული, ისტორიული და ეკონომიკური პირობების შეხამებას თანამედროვე მეცნიერებასთან და ტექნოლოგიებთან და შესაბამისი გადამუშავებული და განახლებული სასწავლო

პროგრამების შექმნა;

- მართვის ახალი მეთოდები ასევე საჭიროებენ აგრეთვე სწავლების ახალ მეთოდებს და ახალ სასწავლო-მეთოდურ მასალებს. ისინი უნდა იყოს შეხამებული ტესტირების უახლეს მეთოდებთან, რომლებიც განავითარებენ არა მხოლოდ დამახსოვრების უნარებს, გაგების, აღქმის, პრაქტიკული მუშაობის შესაძლებლობებს და შემოქმედებითობას, არამედ გააადვილებენ სწავლების პროცესის მართვასა და კონტროლს;
- დასაბუთება იმისა, რომ თანამედროვე საზოგადოებაში უმაღლესი განათლებისა და კვალიფიკაციის სპეციალისტთა მომზადებისადმი მოთხოვნების გაზრდა განათლების სფეროში ინოვაციების პრობლემას ერთერთ პრიორიტეტულ საკითხად აქცევს.

ამგვარად, საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში სამეცნიერო, სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური პოლიტიკის კონცეფცია მოახდენს განათლების სისტემის ორიენტირებას თავისი საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ინოვაციური პოტენციალის შიდა რეზერვების გამოყენებაზე, საქმიანობის სტრუქტურული გარდაქმნისათვის ინოვაციური, მეტად ეფექტური ფორმების ძიებაზე, განათლების სისტემის სასწავლო-სამეცნიერო-ინოვაციური სისტემის როლისა და ადგილის ამაღლებაზე ქვეყნის ერთიან კომპლექსში.

კვლევის საგანი და ობიექტი. კვლევის საგანია მართვის თანამედროვე ტექნოლოგიები უმაღლესი განათლების სისტემაში, ხოლო კვლევის ობიექტია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მართვის სისტემა.

თემის შესწავლის მდგომარეობა. საზოგადოების ახალ მოთხოვნილებას წარმოადგენს განათლების ახალი ხარისხი, რომელშიც არის ის ძლიერი და დინამიური ფაქტორი, რაც ახალ პირობებში მკვლევრებს უღვიძებს ინოვაციათა დანერგვის პრობლემების შესწავლისა და მოგვარების სურვილს.

ამ პრობლემის კვლევას დიდი ყურადღება დაეთმო ისეთი მეცნიერ-ეკონომისტებისა და პრაქტიკოსების მხრიდანაც, როგორებიც არიან მ. ბრაუნი, მ. ბოილანი, ე. დენისონი, პ. დრუკერი, ბ. კოტლიარი, გ. მენში, პ. მრელი, რ. მაკკინტონი, მ. პორტერი, ბ. სანტო, რ. სოლოუ, თ. შულცი, ი. შუმპეტერი

და ვ.ჰარტმანი.

მ. დალტონის, ბ. ჰოლმის, ჰ. ჰოუპის, მ. მაკლინის და სხვა კვლევებმა გამოავლინეს პედაგოგიური ინოვაციური ფენომენის თვისებები: ინოვაციების არსებობა, როგორც ნოვატორთა საქმიანობის იდეალური პროდუქტი, განათლების სისტემაში ინოვაციების ეკონომიკური მნიშვნელობა, ინოვაციების მიზნების ერთიანი (მთლიანი) ხასიათი, ინოვაციური პროცესების მნიშვნელოვანი დამოკიდებულება სოციალურ-პედაგოგიურ ვითარებაზე, ინოვაციების შედეგების დადგენის სირთულე.

ე. კიურუს, ე. ტავერის, ო. შატუხის და სხვა ავტორების ნაშრომებში განხილულია განათლების სფეროში ინოვაციური პროცესების მართვის პრობლემები. საკმაოდ ღრმად და კარგად არის შემუშავებული განათლებაში ინოვაციების გავრცელების მეთოდოლოგიური ასპექტი ისეთი ავტორების ნაშრომებში, როგორცაა ჯ. აბვოდი, დ. ბოკი, ჰ. ბაუენი და სხვები. საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინოვაციური საქმიანობის პრობლემები ასახულია ისეთი უცხოელი ავტორების ნაშრომებში, როგორებიც არიან ჯ.შუსტერი, დ. ფეარსთოუნი, ე. უოლენფელდი და სხვანი.

კონსერვატიულ ტრადიციას (როგორც განათლების საბაზო ხასიათის საფუძველს) და რადიკალურ არატრადიციულობას შორის (როგორც პიროვნებაზე ორიენტირებული სწავლების საფუძველი) შეუსაბამობას აქვს დიალექტიკური ხასიათი, რომელიც განსაზღვრავს ამ წინააღმდეგობის დაძლევის სოციოკულტურული საშუალებების სპეციფიკას (ა. ბასტრონი, ლ. კალუვეი, მ. პეტრი და ა.შ.). მრავალი მკვლევარი ხაზს უსვამს იმას, რომ განათლებაში ინოვაციური ცვლილებების წერტილოვანი „აკუპუნქტურული“ ხასიათი, კვაზისოციალურ დონეზე უზრუნველყოფს ერის ინოვაციურ შესაძლებლობებს (შ.ა. ამონაშვილი, ბ. ბედ-ბადი).

პედაგოგიური ინოვაციების შინაარსის სოციოკულტურული კონტექსტი საშუალებას გვაძლევს, განვიხილოთ ისინი, როგორც საგანმანათლებლო სისტემის განვითარების/თვითგანვითარების კონკრეტული მექანიზმი. ფსიქოლოგიური პირობის და მოვლენების სისტემური ხასიათის გარდა, პედაგოგიური სიახლეების ფართო გავრცელებისთვის პრობლემას წარმო-

ადგენს მასწავლებლების მიერ ინოვაციების გატარების სურვილი, რომელიც გამოიხატება შემოქმედებითი თვითრეალიზაციისკენ მიდრეკილებით. აქედან გამომდინარეობს, მკვლევარების ინტერესი ოსტატობის ჩამომყალიბებელი სპეციფიკური ფსიქოლოგიური წინაპირობების მიმართ.

უ. ვან ლითისა და ს. აფრაიტის ნაშრომში განხილულია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მართვის ინოვაციური მექანიზმების დანერგვის პრობლემები და ის გავლენები, რაც ეს პროცესები სოციალურ-კულტურულ გარემოზე ახდენს.

კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს სინერგიული მიდგომა. ექსპერიმენტულ ბაზად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები აირჩიეს ფონ გოტ-ოტტლილიტენფელდმა, რ. კოხმა, პ. ლუნმა, დ. იორგენსონმა, ს. მაკრიდაკისმა, ფ. მოდილიანიმ, ჰ. მილერმა, ე. პოლაკმა, და სხვებმა.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე. ყველაზე უფრო კომპლექსურ ინოვაციას წარმოადგენს საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების ერთიანი პროგრამის შემუშავება დაგეგმვის რიგი სიახლეების შემოღების საფუძველზე. ჩატარებული კვლევის აპრობაციისა და დანერგვის პროცესში:

1. გახსნილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უსდ) ინოვაციური მართვის შინაარსი, დაზუსტებულია ცნებითი აპარატი;
2. შემუშავებულია უსდ ინოვაციურ მართვაში ახალი ტექნოლოგიების გამოყენების და უსდ რეალურ სექტორში ინტეგრაციის მართვის მოდელი;
3. შემუშავებულია ინოვაციური უსდ ეფექტიანობისა და კონკურენტუნარიანობის შეფასების ინსტრუმენტები;
4. შემუშავებულია ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასების ინსტრუმენტები და განსაზღვრულია საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის ამაღლების მიმართულებები მმართველობითი ინოვაციების დანერგვის საფუძველზე;
5. განვითარების პროგრამის შემუშავების დროს, სავალდებულო სახით ჩატარებულია მდგომარეობის ანალიზი და ცვლილების სავარაუდო მიმართულებების პროგნოზი;
6. შემუშავებულია პროგრამის აგების სამომავლო სოციალური დაკვეთის

წარმოდგენაზე დაფუძნებული მეთოდი, რომელიც გამიზნულია უმაღლესი განათლების დაწესებულებისათვის, რადგან ასეთი შეკვეთის პროგნოზირება წარმოადგენს მენეჯმენტის მნიშვნელოვან სიახლეს.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები. კვლევის თეორიულ ბაზას წარმოადგენს ქართველი და უცხოელი მეცნიერ-მკვლევრებისა და პრაქტიკოსების პუბლიკაციები, მათ შორის მონოგრაფიები, პერიოდულ ლიტერატურაში გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების მასალათა კრებულები და საერთაშორისო და ადგილობრივი ვორქშოფების მეცნიერული და მეთოდოლოგიური მასალები. დისერტაციაზე მუშაობის პროცესში ვეყრდნობოდით და ვიყენებდით ნორმატიულ დოკუმენტაციას.

რაც შეეხება კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს: ჩვენ აზრით, ყველაზე უპრიანი და თემატურად მისადაგებული მეცნიერული შემეცნების დიალექტიკური მეთოდის გამოყენება გახდებოდა. დიალექტიკური მეთოდი წარმოადგენს წესების სისტემას, რომლის ფორმულირებას ვახდენდით დისერტაციაში შესასწავლი სფეროებისთვის დამახასიათებელი კანონზომიერებათა განზოგადების საფუძველზე. სადისერტაციო თემის კვლევის დროს სწორედ არჩეული მეთოდიკა წარმოადგენდა კვლევის ორიენტირს.

გასაგებია, რომ შემეცნების დიალექტიკური მეთოდის გამოყენებისას საჭირო ხდება მისთვის დამახასიათებელი ინსტრუმენტების გამოყენება. კვლევისა და მსჯელობის პროცესში მათგან უმთავრესი ჩვენთვის დიალექტიკური ლოგიკა გახდა. მასზე დაყრდნობით ჩვენ ტექნიკურად განვახორციელეთ ჩვენთვის მისაღები პრინციპებისა და მიდგომების ჩამოყალიბება. პრინციპებისა და მიდგომების ფორმულირების შემდეგ გაადვილდა კვლევის ობიექტისა და საგნის მიმართ მიდგომათა შემუშავების პროცესი, გარდა ამისა, საჭირო გახდა მიზნის მისაღწევად დასახული ამოცანების ჭეშმარიტების დასაბუთება თეორიულად, რათა განხორციელების პროცესში აგვერიდეინა თავი მოულოდნელი შედეგების არასწორი ინტერპრეტაციისათვის.

ჩვენს მიერ არჩეული მეთოდოლოგიის გამოყენებისას აქტუალური გახდა ისეთი მეთოდები, როგორებიცაა რეალობის ასახვის, სრული მოცუ-

ლობითა და სხვადასხვამხრივი შესწავლის, მცირედან დიდისაკენ და პირიქით მსვლელობის (დედუქცია-ინდუქცია), რაოდენობრივი სტატისტიკური და განზოგადების შედეგად მითებული თვისებრივი მახასიათებლების ურთიერთკავშირის პრინციპები. გარდა ამისა, გამოვიყენეთ ისტორიზმი, ურთიერთწინააღმდეგობრიობა და დეტერმინიზმი.

ლიტერატურის მიმოხილვაში, მე-2 და მე-3 თავებში გამოვიყენეთ ისეთი ინსტრუმენტები, როგორებიცაა უარყოფა, აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე დაყვანა, ანალიზი და სინთეზი. პირველ და მე-2 თავებში ჩვენს მიერ გამოყენებულია ისტორიული და ლოგიკური კავშირების პრინციპები.

არჩეული მეთოდოლოგიის ფარგლებში შეირჩა რამდენიმე მეცნიერული მიდგომა:

- **სისტემური** (თეორიულ-პრაქტიკული ცოდნის მეცნიერულ-სოციალური მიმართულება, რომლის საფუძველს ობიექტის, როგორც სისტემის, შესწავლა წარმოადგენს);
- **ინტეგრირებული მიდგომა** (თეორიიდან თანდათან გადასვლა პრაქტიკაზე. ჩვენს შემთხვევაში გამოყენებული მიდგომის თავისებურება იყო შემდეგი: რამოდენიმე დასკვნა გავაკეთეთ თეორიულად, და ამის შემდეგ ისინი გავამყარეთ პრაქტიკული კვლევით და მიღებული შედეგებით);
- **კომპლექსური** (მისი გამოყენება კვლევის საწყის ეტაპზევე მოგვიწია, დამასრულებელ ეტაპებზე მისი გამოყენება არ დაგვჭირვებია; ეს მიდგომა საკვლევი ობიექტების ფუნქციურ მთლიანობაზე წარმოდგენის შესაქმნელად დაგვჭირდა);
- **მრავალფუნქციური მიდგომა** (გამოყენებული გვაქვს კვლევის როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ეტაპებზე. უნდა აღვნიშნოთ, რომ როცა მას ვახამებდით ლოგიკური ანალიზის და ინტერვიუს მეთოდებთან, იქმნებოდა საკვლევი ობიექტის არა სიბრტყული ან ცალმხრივი, არამედ სტერეომეტრიული გამოსახულება);
- **ემპირიული კვლევა** (დაკვირვება, ექსპერიმენტი, გაზომვა და შედარება, რომელთა გამოყენება ხდებოდა კვლევის სამივე თავში);

- **შედარებითი ანალიზი** (ეყრდნობა ცნობილ ანალოგიის მეთოდს. ჩვენი კვლევის პროცესში იგი ორგანულად შეუერთდა ინდუქციისა და დედუქციის მეთოდებს);
- **დოკუმენტური ინფორმაციის კონტენტ-ანალიზი** (მოპოვებული თეორიული თუ პრაქტიკული ინფორმაციის ანალიზი თან სდევდა დისერტაციაზე მუშაობის მთელ პროცესს).

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. ავტორის მიერ მიღებულმა მეცნიერულმა შედეგებმა თეორიულად დაასაბუთეს ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებაზე დაფუძნებული მართვის, როგორც უსდ ერთიანი მმართველობითი სისტემის, შექმნის აუცილებლობა. ამდენად, კვლევის **პრაქტიკული მნიშვნელობა** განპირობებულია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების მმართველობით საქმიანობაში კვლევის შედეგად მიღებული მეცნიერული სიახლეების დანერგვითა და უსდ მართვის სისტემაში მუდმივი და ღია ორმხრივი უკუკავშირის შექმნით, რაც წარმოადგენს მართვის ნებისმიერი სახეობის ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტს. საცდელმა სამუშაოებმა დაადასტურა, რომ თანამშრომელს მხოლოდ მაშინ შეუძლია საკუთარი შესაძლებლობების ჩვენება და მოთხოვნების მიმართ ადაპტირება, როდესაც მას აქვს მუდმივი ინფორმაცია მუშაობის შედეგების და ხარისხის, და გუნდის მხრიდან მათი აღქმის შესახებ.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. ნაშრომი შესრულებულია 148 გვერდზე და შედგება შესავლის, სამი თავის, ათი პარაგრაფის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისაგან.

სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი შინაარსი
თავი 1. უმაღლესი განათლების სისტემის მართვაში ინოვაციური მიდგომების ობიექტური აუცილებლობის თეორიული დასაბუთება

1.1. უმაღლესი განათლების სისტემაში მართვის თეორიისა და პრაქტიკის ჩამოყალიბება და განვითარება

ჩვენი აზრით, ისეთი მეცნიერების განვითარება, როგორცაა ფსიქოლოგია და სოციოლოგია, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სრულყო მართვის

მეთოდები, ხოლო სამუშაო ადგილზე ქცევის კვლევამ იგი გახადა უფრო მეცნიერული. ქცევითი (ბიჰევიორისტული) მიმართულების სკოლა მნიშვნელოვნად დაცილდა ადამიანური ურთიერთობების სკოლას. უპირველეს ყოვლისა, ყურადღება გამახვილა პიროვნებათმორისი ურთიერთობების მოწესრიგების მეთოდებზე. ორგანიზაციის აგებისა და მისი მართვის მიზნით, ახალი მიდგომა ცდილობდა ქცევითი მეცნიერებების კონცეფციების გამოყენებას და მათ საფუძველზე მშრომელისთვის საკუთარი შესაძლებლობების შემეცნებაში მეტ დახმარებას. ყველაზე ზოგადი თვალსაზრისით, აღნიშნული სკოლის მთავარი მიზანი იყო ორგანიზაციის ეფექტურობის გაზრდა ადამიანური რესურსების ეფექტურობის გაზრდის მეშვეობით. ბიჰევიორისტული მიდგომა იმდენად პოპულარული გახდა, რომ 60-იან წლებში მან თითქმის მთლიანად მოიცვა მართვის მთელი სფერო. უფრო ადრეული სკოლების მსგავსად, ამ მიდგომამ ჩამოიშორა მმართველობითი პრობლემის გადაწყვეტისთვის „ერთადერთი საუკეთესო გზა“. მისი ძირითადი პოსტულატი მდგომარეობს იმაში, რომ ქცევის შესახებ მეცნიერების სწორი გამოყენება ყოველთვის ხელს შეუწყობს როგორც ინდივიდუალური მუშაკის, ასევე მთლიანად ორგანიზაციის ეფექტურობის გაზრდას. თუმცა, ისეთი მეთოდები, როგორცაა მუშაობის შინაარსის ცვლილება და დასაქმებულის მონაწილეობა საწარმოს მართვაში, ეფექტური მხოლოდ ზოგიერთი თანამშრომლისთვის და მხოლოდ ზოგიერთ სიტუაციაში აღმოჩნდა. ასე რომ, მიუხედავად მრავალი მნიშვნელოვანი პოზიტიური შედეგისა, ქცევითი მიდგომა ხანდახან ხდება უუნარო უკვე შესწავლილებისგან განსხვავებულ სიტუაციებში.

ამგვარად, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მართვა თავდაპირველად განვითარდა როგორც ხელოვნება, რომელიც აგებულია ინტუიციაზე და მხოლოდ შემდეგ იქცა მეცნიერებად. ამავე დროს, მართვის თეორიული საფუძვლებში ყოველთვის აისახებოდა იმ დროისათვის დამახასიათებელი სამეცნიერო კონცეფციები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, *მართვის (მენეჯმენტის) ინოვაციური ტექნოლოგიების წარმოქმნა წარმოადგენს სამეცნიერო აზროვნების განვითარების ბუნებრივ ასახვას.*

1.2. უმაღლესი განათლების სისტემაში მართვისადმი ინოვაციური მიდგომები

სხვადასხვა ავტორთა მიერ განმარტებული მართვის ფუნქციების ანალიზის პროცესში, თანამედროვე ეტაპისთვის ყველაზე მნიშვნელოვნად წარმოგვიდგება მიზანმიმართულობა, პროგნოზირება, გადაწყვეტილების მიღება, მისნის განხორციელება, კომუნიკაცია, შედეგების მონიტორინგი, შეფასება და კორექტირება. ჩვენი აზრით, დასახელებულთაგან უმთავრესს წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღება, რაც გულისხმობს გადაწყვეტილების მიღების ვარიანტებისადმი ალტერნატიულ მიდგომას, რომელიც ეფუძნება გარკვეულ ინფორმაციას მართვის სისტემისა და მართვის ობიექტის მდგომარეობის შესახებ. ტრადიციული მართვის (მენეჯმენტის) სისტემაში ხელმძღვანელი როლი ეკუთვნოდა ცენტრალიზებულ მართვას და არ შრომით კოლექტივებს. ამჟამად მნიშვნელოვანი ხდება რიგითი თანამშრომლების უნარი დამოუკიდებლად გადაწყვიტონ პროფესიული, ორგანიზაციული, სოციალური და სხვა პრობლემები. სახელმწიფო მეტწილად არაპირდაპირი გზებით ხელმძღვანელობს განათლების სფეროს, რითაც ქმნის პრობლემების გადაჭრის პირობებს.

ჩვენი აზრით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროცესის პროდუქტიული მართვა ხასიათდება ამ პროცესის სუბიექტების მიზნებისა და ინტერესების კოორდინაციით; რაშიც შედის მართვის მეთოდები და ფორმები, რომლებიც განსაზღვრავენ სისტემაში ინტერაქტიული ინფორმაციის ფორმას: „პროფესორი-სტუდენტი“, „პროფესორი-ჯგუფი“, „სტუდენტი-სტუდენტი“, „სტუდენტი-ჯგუფი“, „სტუდენტი-პროფესორი, „ჯგუფი - პროფესორი“.

საგანმანათლებლო პროცესის მართვის პროდუქტიულობა დამოკიდებულია სუბიექტების მზადყოფნაზე, აღიქვან ინოვაციური პროცესები. საგანმანათლებლო პროცესის ფუნქციონირება განისაზღვრება პროდუქტიული მართვის სისტემის ელემენტების ოპტიმალური ურთიერთკავშირით, ხოლო საგანმანათლებლო პროცესის განვითარება არის აღნიშნულ ელემენტებს შორის წარმოქმნილი წინააღმდეგობების მოგვარების პროცესი.

საგანმანათლებლო პროცესის პროდუქტიული მართვის შედეგი განისაზღვრება სტუდენტების თვითრეალიზაციის პირობებით, თვითგანვითარებით და ჩამოყალიბებით. ასეთ პირობებს შორის უნდა გამოიყოს საგანმანათლებლო პროცესში ინოვაციების არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს მის განვითარებას, მართვის სფეროში სამეცნიერო-პედაგოგიური მიღწევების უზრუნველყოფას; პროდუქტიული მართვის სისტემაში საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაზის შექმნას, რომელიც წარმოადგენს გადანაწილების კორპორაციულ სისტემას, სადაც სუბიექტებად გვევლინებიან პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები, რომლებიც ახდენენ ერთობლივი საქმიანობის კოორდინირებას.

ამჟამად საქართველოში ჩამოყალიბებული არასახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებების სექტორი სთავაზობს განათლებას, რომელიც აკმაყოფილებს მის თანამედროვე და პოტენციურ მომხმარებელთა სურვილებს და საჭიროებებს. განათლების სფეროში მარკეტინგი ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულებას და ძირითად სოციალურ ჯგუფებს შორის ურთიერთობების გამოვლენას, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მათი საქმიანობით. საგანმანათლებლო მარკეტინგის მიზანია გარკვეულ იდეალურ წარმოდგენებთან შესაბამისობაში მყოფი საგანმანათლებლო პროდუქტის შემუშავება, რომლის მომხმარებლისთვის შეთავაზებაც საგანმანათლებლო დაწესებულებას სურს.

ამ პრობლემების საკითხების კვლევამ აჩვენა, რომ პრინციპში, მიზნის სტრუქტურები (განვითარების ძირითადი მიმართულებები) და ყველა სტარტის ფუნქცია შეიძლება ჩამოყალიბდეს განსხვავებული ლოგიკური პრინციპების მიხედვით და სხვადასხვა სახეობის სტრუქტურების გამოყენებითაც (ზედა დონეზე - ხის მაგვარი იერარქიები, ქვედა დონეზე - ქსელური მოდელის სახის თანმიმდევრულობის ფუნქციები). ეშელონების სახით წარმოდგენილი იერარქიული სტრუქტურების დროს, დონეებს შორის სხვადასხვა ტიპის ურთიერთქმედება შესაძლებელია იყოს წარმოდგენილი არამხოლოდ ქვედა დონის პირდაპირი მმართველობითი ზემოქმედების ფორმით, არამედ სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ურ-

თიერთქმედებისა (ჰორიზონტალურად, ვერტიკალურად) და კოორდინირებული კავშირების სახით, რომლებსაც ახასიათებს აღნიშნული სტრუქტურების საქმიანობის პროცესებში ჩართულობის განსხვავებული დონე. სწორედ ასეთი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემებია ყველაზე უფრო სიცოცხლისუნარიანი, რადგანაც ისინი სხვადასხვა დონის მართვაში შეიცავენ მიზნების კორექტირების შიდა მექანიზმებს, რაც იძლევა გარემომცველი სოციალური გარემოს ცვლილებებზე ოპერატიული რეაგირების საშუალებას.

1.3. უმაღლესი განათლების სისტემის ქართული და უცხოური გამოცდილების ანალიზი

ამერიკულ კონტექსტში მენეჯერი - ეს არის პროფესიონალი, რომელსაც აქვს სპეციალური განათლება (როგორც წესი, იურიდიული, ეკონომიკური, საინჟინრო და სხვა). ამავე დროს, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პრაქტიკისგან განსხვავებით, როდესაც მენეჯერის მომზადება ჩვეულებრივ ვარაუდობდა და ასოცირებული იყო პროდუქციის წარმოების მენეჯმენტის სპეციალისტის მომზადებასთან; ამერიკის შეერთებულ შტატებში ტერმინი „მენეჯმენტი“ უფრო ფართო მნიშვნელობით გამოიყენებოდა საზოგადოების პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ყველა, მათ შორის განათლების სფეროში. დისერტაციის ამ თავში ამერიკული უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამების შინაარსი და მართვის პროცესის კვლევა დაწვრილებით არის გადმოცემული. გარდა ამისა, შესაწავლილია სხვა ქვეყნების მაგალითებიც.

ქართულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების მენეჯერის მომზადების მაგალითად შეიძლება განგვხილავს სპეციალიზაცია „განათლების ინფორმატიზაციის ორგანიზება“, რომლის სრულყოფილად ასათვისებლად სასწავლო გეგმის მიხედვით სტანდარტული ვადა 1 (ზოგ შემთხვევაში - 1,5) წელი იქნებოდა. ამ სპეციალობის სავალდებულო დისციპლინებად მივიჩნევთ „ინფორმაციულ-საგანმანათლებლო სივრცის ორგანიზებას“ და „ელექტრონული საგანმანათლებლო დაწესებულების განვითა-

რება და გამოყენებას“, „საგანმანათლებლო დანიშნულების ელექტრონული საშუალებების შემუშავებას და გამოყენება“, „ინფორმაციული უსაფრთხოების საფუძვლებს“, „განათლების მართვაში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს“, „საინფორმაციო უსაფრთხოების სწავლების საფუძვლებს“, „საინფორმაციო განათლების პროცესის მონიტორინგს“. ჩვენი აზრით, ინფორმატიკული დისციპლინების შესწავლას ქართულ უმაღლესეხსეში გაცილებით მეტი დრო უნდა ეთმობოდეს.

ამერიკულ და ქართული უმაღლესი განათლების დაწესებულებებში განათლების სფეროში მენეჯერების მომზადების სისტემების შედარების საფუძველზე შეგვიძლია გავაკეთოთ დავასკვნა, რომ ჩვენს უნივერსიტეტებში არ არსებობს საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელობის მსურველთათვის სპეციალიზებული სწავლება. ხელმძღვანელები მართვის სფეროში თეორიულ ცოდნას იძენენ კვალიფიკაციის ამაღლების სპეციალურ კურსებზე. მიზანშეწონილად მიგვაჩნია მართვის თეორიაში დამატებით სპეციალობათა რაოდენობის გაზრდა, *რადგან ინოვაციური მართვის ტექნოლოგიებისადმი სწორედ სტუდენტური ასაკი მიგვაჩნია ყველაზე მგრძობიარედ.*

თავი 2. უმაღლესი განათლების დაწესებულების ინოვაციური მართვის ორგანიზაციულ-მეთოდური საფუძვლები

2.1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ინოვაციური მართვის სისტემის ორგანიზაციული სტრუქტურა

ა. სუბექტოს აზრით, განათლებაში ინოვაციების გავრცელების პროცესი „სასიცოცხლო ციკლის“ ზოგად კანონებს ემორჩილება. პედაგოგიური ინოვაციების გავრცელების ძირითად შედეგს წარმოადგენს განათლების მულტიკულტურული სივრცის ფორმირება.

შეიძლება გამოვყოთ ინოვაციური პროცესის სამი ძირითადი ეტაპი: მომზადება, დანერგვა და შემდგომი განვითარება. „სასიცოცხლო ციკლის“ ცნების გამოყენებისას, რაც ნიშნავს მის დასაწყისისა და დასასრულის ერთობას, შეგვიძლია განვასხვავოთ ინოვაციური პროცესის სამი ძირითადი სტადია (წარმოქმნა, დიფუზია, რუტინიზაცია), რომელიც ამავდროულად

ინოვაციის დანერგვის ეტაპსაც აღნიშნავს. მთელი ინოვაციური პროცესი შედგება ცხრა ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანმაპირობებელი ციკლისაგან. წინასწარი ციკლი - არის პრობლემური სიტუაციის გამოვლენა (იდენტიფიცირება); კვლევითი - არის ინოვაციური მიზნების ჩამოყალიბება, საპროექტო - არის არსებული მდგომარეობის ანალიზი, ექსპერიმენტული - არის გადაწყვეტილების მიღება.

ინოვაციური ტრანსფორმაციის საფუძველი ყოველთვის იყო გარკვეული ისტორიული პერიოდის ესა თუ ის პრაქტიკული საჭიროება, ხოლო განსხვავებულ ისტორიულ ეტაპზე ინოვაციური კონცეფციების შინაარსი განისაზღვრებოდა მისი თანამედროვე იდეოლოგიური საჭიროებებითაც.

იცვლება რა მართვის ტიპი, სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს სოციალური რეგულირება და თვითმმართველობა. პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მართვა ჯერ კიდევ არ არის განათლების სისტემის ფუნქციონირების ეფექტურობის მნიშვნელოვანი ფაქტორი; კვლავ ძველებურად დომინირებს მართვისა და პედაგოგიური კომუნიკაციის ავტორიტარული სტილი. მართვის პროცესი წარმოადგენს ერთიან ინფორმაციულად ღია სისტემას. ინოვაციური სკოლის მართვის სისტემის ძირითად ფუნქციურ კომპონენტებს წარმოადგენს: მართვის სუბიექტის მიერ მიღებული საქმიანობის მიზანი, მნიშვნელოვანი პირობების სუბიექტური მოდელი, აღმასრულებელი საქმიანობის პროგრამა, მიზნის მიღწევის კრიტერიუმების სისტემა, რეალური შედეგების მონიტორინგი და შეფასება, მართვის სისტემის კორექტირების გადაწყვეტილება.

მართვის პროცესის ყველა კომპონენტი, რომელიც წარმოადგენს ინფორმაციულ ერთეულს, დიალექტიკურად არის ურთიერთდაკავშირებული და საკუთარ შინაარსობრივ და ფუნქციურ განსაზღვრულობას მხოლოდ მართვის ერთიანი სისტემის სტრუქტურაში იღებს.

2.2. ინოვაციების მართვის მეთოდები უმაღლესი განათლების დაწესებულებებში

უნდა აღინიშნოს, რომ ტრანსფორმაციის პერიოდში მყოფი საგანმანათ-

ლებლო სისტემის მართვის პროცესების ანალიზმა გვიჩვენა, რომ განათლების კრიზისის ერთერთი მიზეზი იყო მკვეთრი შეუსაბამობა წარმოქმნილ ახალ ფორმებსა და ათწლეულების განმავლობაში არსებულ მართვის მოდელის შინაარსს შორის. საგანმანათლებლო სისტემის მართვის დონე არ შეიქმნა როგორც სპეციფიკური საქმიანობა, რომელიც ხასიათდებოდა საკუთარი მექანიზმებით და პროცესებით; ზუსტად ისევე, როგორც პროფესიონალი მმართველები არ აღმოჩნდნენ მოცემული კვალიფიციური საქმიანობის მატარებლები. გარდა ამისა, განუყოფელი სტრუქტურის სახით პრაქტიკულად არ არსებობს საგანმანათლებლო სისტემის მართვის თეორიულ-მეთოდური მოდელი.

განსხვავებულ კომბინაციებში მართვის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება დამოკიდებულია საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირების პირობებზე, ხელმძღვანელის პროფესიულ კომპეტენციაზე და გარემოებებზე. მართვის მეთოდების აღქმა კი მჭიდროდ უკავშირდება მმართველის მიერ გამოყენებულ შრომის ტექნოლოგიებს. მხედველობაში გვაქვს ხელმძღვანელის მმართველობით საქმიანობაში თანმიმდევრული ოპერაციების სისტემა და ეტაპები, აგრეთვე დადგენილი წესების, მეთოდების, ტექნიკისა და მისი განხორციელების საშუალებების სისტემა. ჩვენს ხელთ არსებული სამეცნიერო-მეთოდური ლიტერატურის ანალიზისა და მმართველობითი საქმიანობის გამოცდილების საფუძველზე, გამოვყოფთ ინოვაციური მართვის მეთოდების სამ ჯგუფს, რომელიც დამოკიდებულია შემოქმედების ობიექტზე, ესენია ორგანიზაციულ-მეთოდური, პერსონალური ურთიერთქმედება და სტრატეგიული დაგეგმვა.

ინოვაციების თვალსაზრისით, პედაგოგიური საქმიანობა განიხილება, როგორც პირადული კატეგორია, შემოქმედებითი პროცესი და შემოქმედებითი საქმიანობის შედეგი. ინოვაციურ საქმიანობაზე მოთხოვნილების გააზრება ხდება ჰუმანისტური ფსიქოლოგიის იდეებზე ორიენტირებული მიმართულებით. ინოვაციური პედაგოგი არის პიროვნება, რომელსაც აქვს თვითაქტუალიზაციის დიდი სურვილი, აქვს თვითგანვითარების უნარი, ჩამოყალიბებული აქვს ცოდნა და უნარები შემოქმედებითი საქმიანობის

განხორციელებისათვის. განვიხილოთ ინოვაციების მართვის მეთოდების ზემოთ მოყვანილი ჯგუფები უფრო დეტალურად.

2.3. სოციალურ-ეკონომიკური გარემო და მისი გავლენა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ინოვაციური მართვის პროცესზე

უწყვეტი განათლების საჭიროების ჩამოყალიბება ხდება ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების საფუძველზე, რომლებიც რეალურ ცხოვრებაში არიან გადაჯაჭვული და განვითარების პროცესს კანონზომიერ ხასიათს აძლევენ. საზოგადოების ცხოვრების ახალი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პირობები უწყვეტი განათლების სისტემას აიძულებენ, რეაგირება მოახდინოს ცვლილებებზე რომლებიც მიმართულია საქმიანობის ხარისხის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული დებულებები გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის დიფერენციაციას და ინდივიდუალიზაციას ვარიაციული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების გზით. ეს პროგრამები ორიენტირებულია სტუდენტების სხვადასხვა კონტიგენტზე, ითვალისწინებს სწავლის ინდივიდუალიზებულ პროგრამების და გრაფიკების ფორმირებას, სადაც გათვალისწინებულია სტუდენტთა უნარები და სოციალური გარემოს თავისებურებები.

განათლების მოდერნიზაციის თანამედროვე პროექტებში, რომლებშიც გათვალისწინებულია განათლების ხარისხის ამაღლება, საზოგადოების მეტი ჩართულობა სოციალური გარემოს თავისებურებათა გათვალისწინებით, აღნიშნულია განათლების სისტემის იმ ახალი ინსტიტუტების ფორმირების პირობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ყველა დაინტერესებული პირის სახსრების მობილიზებას და მათ ეფექტიან განაწილებას საგანმანათლებლო პროგრამებისა და მომსახურების არჩევის გაფართოებული შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად. ეს პირობა ითვალისწინებს საგანმანათლებლო მენეჯმენტის ახალი მოდელების შემუშავებასა და განვითარებას.

ახალი მიზნის წარმოქმნა - ეს არის განათლების გადაქცევა რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარების რესურსად. ეს იძულებულს ხდის სისტემას, მოძებნოს ამ პროცესის მართვის ახალ ბერკეტები. განათლების

მართვაში საზოგადოების მონაწილეობის მექანიზმების განვითარება, მართვის სახელმწიფო-საზოგადოებრივი ხასიათის განხორციელება წარმოადგენს მიმართ განათლების სისტემის საზოგადოებისკენ შემობრუნების მეთოდს. სოციალური პარტნიორებთან (საწარმოებთან და ორგანიზაციებთან, ანუ პოტენციურ დამსაქმებელთან) ურთიერთობების განვითარება მოიცავს საწარმოს ბაზაზე სწავლების, როგორც კადრების მომზადების სისტემაში ახალი მიდგომების ჩამოყალიბებისა და დანერგვის, საკვანძო პირობებს. სოციალური პარტნიორები სასარგებლოა ადგილობრივ შრომით ბაზარზე საჭირო სპეციალობათა სიების შესაქმნელად, საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსის დასაკორექტირებლად, განათლების სისტემის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის ფორმირებისთვის, მომავალი სპეციალისტების უფრო მაღალი ხარისხით მომზადებისთვის.

თავი 3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების კრიტერიუმები, როგორც მმართველობითი წარმატების მაჩვენებელი

3.1. უმაღლესი სასწავლებლების საქმიანობის კონტროლისა და შეფასების სახელმწიფო მექანიზმი

ბევრ ქვეყანაში განათლების ხარისხის შესახებ პასუხისმგებლობა ეკისრება განათლების მართვის სახელმწიფო ორგანოებს. სახელმწიფო ასრულებს მთავარი დამკვეთის, ინვესტორისა და მაკონტროლებლის როლს. საქართველოში რეფორმირების პროცესში მყოფი უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა წარმოადგენს ინსტრუმენტების და ტექნოლოგიების ერთობლიობას, რომელიც გამოიყენება საზოგადოების მიერ შემუშავებული მიმდინარე პერსპექტიული კრიტერიუმებისა და სტანდარტების შესატყვისი დონის მისაღწევად. ცენტრალური ამოცანას წარმოადგენს საგანმანათლებლო სისტემების დაპროექტება, მათი მართვა და მათი ხარისხის დონის შეფასება. ამაზეა ორიენტირებული ლიცენზირების, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სისტემა. საქართველოს განათლების პოლიტიკა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საქმიანობა

მიმართულია სპეციალისტების მომზადების ხარისხისა და სწავლების შინაარსის დაცვასა და კონტროლზე, რომელიც ხორციელდება ლიცენზირების, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცედურის მეშვეობით. აკრედიტაცია და ავტორიზაცია განსხვავებულ კრიტერიუმებზე და სტანდარტებზეა დაფუძნებული და ენიჭება სხვადასხვა ვადით. შედეგად, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა:

- განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბებას, მისი ხარისხის ამაღლების მიზნით;
- საგანმანათლებლო პროდუქციის კრიტერიუმების, ნორმატივებისა და ხარისხის სტანდარტების განსაზღვრას;
- პედაგოგებისა და სტუდენტების სწავლების ხარისხის ამაღლებას, სწავლების პროცესის სამეცნიერო და სამეცნიერო-მეთოდურ უზრუნველყოფას;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური, სოციალურ-საყოფაცხოვრებო და საინფორმაციო ინფრასტრუქტურის სრულყოფას;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვისა და თვითმმართველობის მექანიზმებისა და ინსტრუმენტების შემუშავებას.

ლიცენზირების, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცედურები წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების მექანიზმს, რომელიც 2004 წელს დაწყებული და დღეს მიმდინარე რეფორმების შედეგია.

ლიცენზირების, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცედურების არსებული გამოცდილების ანალიზმა ჩამოგვიყალიბა აზრი იმის შესახებ, რომ საჭიროა ტექნოლოგიების კორექტირება და ოპტიმიზაცია: დოკუმენტების მოქმედების ვადების შეუთანხმებლობა, როდესაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გარე ექსპერტიზა ხორციელდება სხვადასხვა დროს, შეფასების პროცესს ხდის პრაქტიკულად უწყვეტს; გარდა ამისა, ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის ზოგიერთი პროცედურა აშკარად დუბლირებას უკეთებენ ერთმანეთს როგორც შინაარსით, ასევე

დოკუმენტების ბრუნვით. ჩვენი აზრით, აუცილებელია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის კომპლექსური შეფასების ერთიანი პროგრამის შემუშავება, რომელიც აღმოფხვრის დუბლირებას და უზრუნველყოფს უსდ საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ერთიან ფორმატში სისტემატიზაციას. ახალი, კომპლექსური შეფასება განხორციელდება ერთობლივი საექსპერტო კომისიის მიერ. განმეორებითი ლიცენზირების პროცედურამ უნდა მოიცვას: საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების ორგანიზაციულ შეფასებას; საგანმანათლებლო პროცესის საქმიანობის ორგანიზაციის პირობები; მოიცავს ორგანიზაციულ-სამართლებრივი საფუძვლებს; მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას და რესურსებს (საკადრო, ინფორმაციული, ტექნიკური უზრუნველყოფა); სოციალური ინფრასტრუქტურას.

3.2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინოვაციური საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინოვაციური პროცესების შეფასების მიზნით მკვლევარები გვთავაზობენ საკუთარ კრიტერიუმებს. მაგალითისათვის, ლ. ნამირუმ შემდეგნაირად განსაზღვრა ინოვაციური პროცესის ეფექტურობის კრიტერიუმები:

- საგანმანათლებლო-აღმზრდელობით საქმიანობაში მათი პირადი ჩართულობა,
- თანამედროვე პედაგოგიური და ციფრული ტექნოლოგიების ფლობა,
- შემდგომი განვითარებისადმი გახსნილობა,
- პროფესიონალიზმის მაღალი დონის მიღწევა,
- სუბიექტის საკუთარი შრომით კმაყოფილება.

საგანმანათლებლო მომსახურების ხარისხის დონის ეკონომიკური მაჩვენებლებში შედის ფასი, საგარანტიო ვადა, მომსახურება და რიგი სხვა კომპონენტები; პროდუქციის არჩევისას მომხმარებლები სწორედ ხარისხს ანიჭებენ უპირატესობას, ჩვენ შემთხვევაში ეს არის საგანმანათლებლო მომსახურება. ვინაიდან განათლების ხარისხი ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, აუცილებელია, რომ ეს ფაქტორები მაქსიმალურად იყოს გათვალისწი-

ნებული ხარისხის მართვის პროცესში. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ეს ზემოქმედება განხორციელდეს საგანმანათლებლო გარემოს მომზადების და ფორმირების ყველა ეტაპზე (სწავლება, აღზრდა, სამეცნიერო-მეთოდური უზრუნველყოფის შექმნა და ა.შ.). ამასთანავე აუცილებელია, შემუშავებულ იქნას მკაფიო ურთიერთქმედება ყველა იმ ქვედანაყოფის მუშაობაში, რომელიც ჩართულია განათლების ხარისხის პრობლემების მოგვარებაში.

3.3. უმაღლესი განათლების დაწესებულებაში განათლების ხარისხის რეიტინგული შეფასების საერთაშორისო მეთოდიკები

THES - QS World University Rankings რეიტინგი. გაზეთი Times-ის უმაღლესი განათლების შესახებ დანართში (The Times Higher Education Supplement, THES) გამოაქვეყნდა მსოფლიოში 200-ზე მეტი უმაღლესი სასწავლებლის რეიტინგი. THES - QS World University Rankings რეიტინგი - ეს არის განათლების საერთაშორისო პრობლემებით დაკავებული კომპანიების, THES და QS (Quacquarelli Symonds) ერთობლივი პროექტი. პროექტი 2004 წლიდან არსებობს. მისი მიზანია - უნივერსიტეტების აკადემიური დონის შეფასება, რომლის დროსაც ძირითადი ყურადღება ექცევა კვლევებისა და სწავლების ხარისხს, სადაც გათვალისწინებულია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო მნიშვნელობა. რეიტინგმა გამოჩენისთანავე ბევრი კომენტარი და გამოხმაურება გამოიწვია. ამჟამად ეს არის უმაღლესი განათლების სფეროში საერთაშორისო შედარების ერთერთი ყველაზე ავტორიტეტული მექანიზმი.

მოცემული რეიტინგის ძირითად კრიტერიუმებსა და მეთოდოლოგიას აქვს ტრადიციული ხასიათი, რაც სამეცნიერო საზოგადოებაში უარყოფას არ იწვევს. ჩვენი აზრით, ძირითადი აქცენტი კეთდება ეგრეთ წოდებულ ეკვივალენტურ კითხვარებზე. რაც იგულისხმობს შემდეგ პროცედურებს: კითხვარები გადაეგზავნება სამეცნიერო საზოგადოების ექსპერტებს გარკვეული შეზღუდვებით. უნივერსიტეტების ჩამონათვალიდან, რომლებიც ანალიზის ჩასატარებლად შეთავაზებულია თითოეული კონკრეტული ექსპერტისთვის, გამოთიშულია ის უნივერსიტეტი, რომელშიც ხსენებული კონკრეტული

მეცნიერი მუშაობს. ეს იძლევა მიკერძოებული შეხედულებების თავიდან აცილების შესაძლებლობას. რეიტინგის სრულყოფა მუდმივი პროცესია. მაგალითად, 2020 წელს, საუნივერსიტეტო პუბლიკაციების ციტირების დათვლა უკვე მიმდინარეობდა წინა ხუთწლიანი პერიოდის საფუძველზე (და არა ათი, როგორც ეს ადრე იყო მიღებული).

არსებობს მოსაზრება, რომ ჰონგ-კონგის უნივერსიტეტის წარმატება, რომელიც 33-ე ადგილიდან 18-ე ადგილზე გადავიდა, სავსებით ახსნადია. ჰონგ-კონგის უნივერსიტეტი რის ერთერთი ყველაზე მაღალი დაფინანსების მქონე უმაღლესი სასწავლებელი საკუთარ ქვეყანაში. მეორე მაგალითისთვის სამხრეთ აფრიკის უნივერსიტეტის წარმატების საკითხს განვიხილავთ და აღვნიშნავთ, რომ ეს არის დამაჯერებელი მტკიცებულება იმისა, თუ რამდენად ბევრია დამოკიდებული კადრებზე. ამჟამად ამ უმაღლეს სასწავლებელში მოზიდულია მსოფლიოს საუკეთესო სამეცნიერო კადრები და შედეგებმაც არ დააყოვნა.

THES/QS რეიტინგი. THES და QS რეიტინგების ერთობლივი პროექტი 2004 წლიდან არსებობს (QS - საერთაშორისო განათლების საკითხებზე მომუშავე კომპანია Quacquarelli Symonds). THES-ის მიზნებია - უნივერსიტეტის აკადემიური დონის შეფასება, რომლის დროსაც ძირითადი ყურადღება ექცევა კვლევითი და სასწავლო საქმიანობის ხარისხს, ასევე უნივერსიტეტის საერთაშორისო მნიშვნელობას.

ცზიაო ტუნგის შეფასება შედგება შემდეგი მაჩვენებლებისაგან: განათლების ხარისხი (საერთო შეფასებაში მაჩვენებლის ხვედრითი წონა - 10%), თანამშრომლების დონე (40%), კვლევების დონე (40%), ზომა (10%). განათლების ხარისხი განისაზღვრება კურსდამთავრებულთა რაოდენობით, ვინც მიიღო ნობელის ან ფილდსის პრემია (ნობელის პრემიის სავარაუდო ანალოგი მათემატიკაში). პედაგოგების დონე შედგება ნობელის ან ფილდსის პრემიების მქონე (20%) და ისეთი თანამშრომლებისაგან, რომლებსაც აქვთ ციტირების მაღალი ინდექსი. კვლევის დონე განისაზღვრება ჟურნალში Nature and Science (20%) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობის მიხედვით, და იმ სტატიების რაოდენობით, რომლებიც ნახსენებია

ინფორმაციის ინსტიტუტის სპეციალურ სიაში: ციტირების საერთაშორისო ინდექსი (20%).

„Webometrics“. „ვებომეტრიქსი“ არის პროექტი, რომელიც შეიმუშავა კომპანიამ **Cybermetrics Lab**, რომელიც ახორციელებს საკუთარ საქმიანობას 2004 წლიდან. რეიტინგი ეფუძნება მხოლოდ ვებ-მონაცემების აღრიცხვას: უმაღლესი სასწავლებლის ვებ-აქტივობებს, ელექტრონული პუბლიკაციების რაოდენობას, მათში მოხსენიების რაოდენობას. ყველა რეიტინგის მიხედვით, „ვებომეტრია“ ყველაზე „არაელიტარულია“: ჯგუფი საკუთრი თავის-თვის ადგენს ამოცანას, არა მარტო გამოავლინოს ტრადიციული საუკეთესო ასეული, არამედ მოახდინოს უმაღლესი სასწავლებლების მაქსიმალურად დიდი რაოდენობის რანჟირება, იდეალურ შემთხვევაში - ყველა უმაღლესი სასწავლებლის. მართლაც, „ვებომეტრიქსი“ აქვეყნებს ოთხი ათას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მოწესრიგებულ სიას, პრაქტიკულად მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნიდან (შედარებისთვის: ცზიაო ტონგი - ხუთასს, THES - ორასს).

„ვებომეტრიქსი“ იყენებს მხოლოდ ვებ მონაცემებს: ვებ ზომა (საძიებო სისტემებში გამოვლენილი გვერდების რაოდენობა, წონა - 25%), ხილვადობა ან შემჩნევადობა (საიტის გარე ბმულების რაოდენობა, წონა - 50%), ჩატვირთული ფაილების რაოდენობა (pdf, doc, ppt და ps, წონა - 12,5%), ისევე როგორც პუბლიკაციების რაოდენობა და ციტირების ინდექსი Google- ში (12.5%). აგრეთვე არსებობს კორექტირების კოეფიციენტები.

გარდა მოცემულის სამი ძირითადი რეიტინგისა, რა თქმა უნდა, არსებობს ეროვნული რეიტინგებიც.

თითოეულ რეიტინგს აქვს თავისი ნაკლოვანება. ცზიაო ტონგი ნაკლებად ითვალისწინებს სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებათა წვლილს; „ვებომეტრიქსი“ ხედავს მხოლოდ იმ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია ქსელში; THES ეყრდნობა კონკრეტულად გამოკითხულ ადამიანთა აზრს (ამ ადამიანთა რიცხვი შთამბეჭდავია, მაგრამ უნივერსიტეტები მსოფლიოში ბევრად უფრო მეტია). ციტირების ინდექსი ასევე ცნობილია თავისი არაობიექტურობით და ბევრ საკითხში საკამათოა.

3.4. ქართული უმაღლესი განათლების სკოლებში ხარისხის მართვის სისტემების შეფასების შედეგები

განათლების სამინისტროს მეთოდოლოგიის მიხედვით უმაღლესი სასწავლებლების რეიტინგის გამოთვლისას გამოიყენება შემდეგი რაოდენობრივი კრიტერიუმები: პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა; სტუდენტების რაოდენობა ბაკალავრიატში, მაგისტრატურაში და დოქტორანტურაში; უცხოელი სტუდენტების რაოდენობა; უმაღლეს სასწავლებელში სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობის აღწერა; გამოცემული სამეცნიერო-პედაგოგიური ლიტერატურის რაოდენობა; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დახასიათება; სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობები.

განათლების სამინისტროს რეიტინგის გაანგარიშების მეთოდიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება პროფესორ მასწავლებელთა შემადგენლობას, მაგრამ აქ ყველაფერი ასე ერთმნიშვნელოვანი არ არის. გამოკითხვაში მონაწილე სტუდენტების 25%-ს უნდათ, რომ მათ პედაგოგებს ქონდეთ სპეციალობაში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება. განათლების სამინისტროს თოთხმეტი კრიტერიუმი უბრალოდ ჩამოთვლის პედაგოგებს, რომლებსაც აქვთ სამეცნიერო ხარისხი და არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ხშირად საგანს ასწავლის პროფესორი, რომელიც წარმოადგენს სპეციალისტს ცოდნის სრულიად განსხვავებული სფეროში. განათლების სამინისტროს კრიტერიუმების მიხედვით უმაღლესი სასწავლებლის რეიტინგს ამაღლებს სტუდენტების დიდი რაოდენობა. თუმცა, ამ გამოკითხვის მიხედვით აბიტურიენტების უმრავლესობას მცირერიცხოვან ჯგუფებში სწავლა ურჩევნია.

იმისათვის რომ გადავწყვიტოთ განათლების ხარისხის პრობლემა, აუცილებელია შეფასდეს თითოეული უმაღლესი სასწავლებლის განათლების ხარისხი იმის მიხედვით, როგორ ხდება სპეციალისტების მომზადება და როგორია შრომის ბაზარზე მათ კურსდამთავრებულებზე მოთხოვნა. ამრიგად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ოფიციალურ რეიტინგებში უნდა მოხდეს საზოგადოებრივ წრეების ყურადღების გამახვილება უნარების არქონის პრობლემაზე.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუ-

შავებული სტანდარტებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გაანგარიშებული რეიტინგის სამეცნიერო საფუძველის არარსებობა გვაიძულებს დავფიქრდეთ საწყისი მონაცემების ობიექტურობის შესახებ.

დასკვნა

მოკლედ ვაყალიბებთ კვლევის შედეგად მიღებულ დასკვნებს:

□ თავიდან მართვა ვითარდებოდა, როგორც ხელოვნება, რომელიც იყო აგებული ინტუიციაზე და მხოლოდ შემდეგ შეიძინა მეცნიერული საფუძვლები. მართვის, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბებაში და მის თეორიულ საფუძვლებში ყოველთვის პოულობდნენ ასახვას იმ დროისათვის დამახასიათებელი სამეცნიერო კონცეფციები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინოვაციური მართვის ტექნოლოგიების წარმოქმნა წარმოადგენს ბუნებრივი სამეცნიერო აზროვნების განვითარების ასახვას;

□ განათლების განვითარებაში ყოველი ისტორიული ეტაპი ხასიათდება სხვადასხვა კონკრეტული ინოვაციების წარმოქმნით; საგანმანათლებლო სისტემის ინოვაციური სფერო შეესაბამება საქართველოს სკოლების ინოვაციურ ველს;

□ განათლების მიმართ ახალი მიდგომების მოძიება, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია ცვლილებებთან ტექნოლოგიების და მეთოდოლოგიის შინაარსში, საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზებაში და მის მართვაში, პედაგოგიური კადრების მომზადებასა და სამეცნიერო-პედაგოგიურ საფუძვლებში და ეყრდნობა ინოვაციური საქმიანობის სტრუქტურულ კომპონენტებს, რომლებიც დამახასიათებელია საგანმანათლებლო დაწესებულებების ნებისმიერი ტიპისათვის;

□ ბოლო დროს, თეორეტიკოსებისა და პრაქტიკოსებისთვის დამახასიათებელია ტენდენცია ნოვატორთა რეფლექსიის ინდივიდუალური გამოცდილების შესწავლასთან ერთად მოახდინონ თეორიულ-მეთოდოლოგიური პრობლემების შესწავლა, რომლებიც განეკუთნებიან ინოვაციების სფეროს. ინოვაციური საქმიანობა დიდწილად ხორციელდება მისდამი არსებული ფსიქოლოგიური მზადყოფნის გამო;

□ უმაღლესი განათლების სისტემის მართვის მოდელები, - წერტილოვანი, სისტემური და ბიფურკაციული, - რომლებიც აღწერენ სტრუქტურულ ინოვაციებს, ანუ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთქმედების ცვლილებებს; ეს, თავის მხრივ, ხელს უწყობს უმაღლესი განათლების ცალკეული დაწესებულების მართვის სისტემის, მიზნებისა და საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსის ცვლილებებს;

□ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციული მართვის სისტემის სრულყოფა შესაძლებელია როგორც მართვის ავტომატიზაციის სპეციალური კომპლექსების (ERP სისტემების), ასევე სოციალური პროცესების შესწავლის სისტემების მეშვეობით, რაც განსაკუთრებით აქტუალურია უმაღლესი განათლების დაწესებულებებისათვის;

□ საგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციულ-ინოვაციური საქმიანობა შესაძლებელია, თუ მართვის პროცესში ჩართულია გარე და შიდა ფაქტორების კომპლექსი, რომელიც ხორციელდება პირობების სხვა კომპლექსის საფუძველზე, ესაა: სპეციალისტების მომზადება მართვის მიმართ სისტემური მიდგომის საფუძველზე ფართო პროფილის სპეციალისტის მომზადებასთან დაკავშირებული რეგიონული და ზოგადი მოთხოვნების გათვალისწინებით; კადრების შერჩევა და განთავსება პედაგოგის საქმიანი, პროფესიული, პიროვნებაზე ორიენტირებული თვისებების, ინოვაციური საქმიანობის საფუძველზე და ა.შ.

ინფორმაცია ნაშრომის აპრობაციის შესახებ

დისერტაციის თემაზე საგამოცდო კომისიაში დაცულ იქნა **ორი სემინარი**
და **ორი კოლოკვიუმი**:

კოლოკვიუმები:

1. შრომის ბაზრის მოთხოვნები და უმარლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა თანამედროვე უნივერსიტეტებში
2. უმაღლესი განათლების სისტემის მართვის ჩამოყალიბება და განვითარება.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები გამოქვეყნებულია ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ რეკომენდირებულ საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში:

სამეცნიერო სტატიები:

1. მახარაშვილი ნ., ჩუბინიძე ნ., „განათლების მენეჯმენტი თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემაში“, ჟურნალი „European Science Unit“, N10? ტომი 5. 2018
2. ჩუბინიძე ნ., უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სისტემის სრულყოფის მეთოდები რეფორმირების პირობებში, ჟურნალი „ეკონომისტი“ ტომი XVI, 2020. გვ.32-140
3. ჩუბინიძე ნ., „ინფორმაციული საგანმანათლებლო გარემოს პირობებში საკონტაქტო დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზება“, ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები“, 2020. გვ. 10-14
4. ჩუბინიძე ნ., „მართვის მახასიათებლები თანამედროვე უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში“, ჟურნალი მოამბე XXXVII, 2020. გვ 42-47.
5. „ადამიანური კაპიტალის განვითარებისა და ოპტიმალური მართვის პერსპექტივები“, ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“ N 4, გვ.369-374

კონფერენციები:

1. ბარათაშვილი ე., ჩუბინიძე ნ. „პროექტის მართვა საგანმანათლებლო სისტემებში“, ჟურნალი „ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევა წამყვანი სამეცნიერო სკოლების პრაქტიკაში“ N 31(1), ხორვატია. 2019. გვ. 12-17.

სემინარები:

1. ტრანსდისციპლინური კვლევის საერთაშორისო ზაფხულის სკოლა, 2019 წელი 30 ივნისი - 7 ივლისი, ყაზბეგი, გრანტი, სერტიფიკატი.